№ 256
შაბათი, 25 ნოემბერი, 1900 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 256
შაბათი, 25 ნოემბერი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა და ქართული დასის არტისტები გულითადის მწუხარებით იუწყებიან, რომ 22 ნოემბერს, მძიმე და სასტიკი ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა ქართული თეატრის სუფლიორი

**კოლა გალუსტოვი.**

მიცვალებულს გაასვენებენ დასაკრძალავად კუკიის სასაფლაოზე შაბათს, 25 ნოემბერს, დილის 10 საათზედ, საკუთარის სადგომიდგან, ფომინის ქუჩაზე, № 13, კათოლიკეთა ეკკლესიაში, შუა ბაზარში. (2—2)

კნეინა ანნა ანდრიას ასული რატიშვილისა და თავ. მიხეილ გიორგის ძე რატიშვილი შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა 23 ნოემბერს, საღამოს 10 საათზედ,

**კნეინა ბარბარე ანდრიას ასულის ავალიშვილისას,**

გარდაცვალებულის გვამს ქალაქის სულით ავადმყოფთა საავადმყოფოდგან (ამალღების ქუჩა) ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკკლესიაში წაასვენებენ კვირას, 26 ნოემბერს, დილის 9 საათზედ. (1—1)

ქართულის თეატრის არტისტები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და პატივისმცემელთ, რომ ხუთშაბათს, 23 ნოემბერს, ხანგრძლივის და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი ამხანაგი და ერთგული თანამშრომელი

**კნ. ბაბო ავალიშვილისა.**

მიცვალებულს გამოასვენებენ სულით ავადმყოფთა ქსენონიდგან (სოლოლაკი, ამაღლების ქუჩაზედ) კვირას, 26 ნოემბერს, დილის 9 საათზედ, ქაშუეთის წმიდა გიორგის ეკკლესიაში.

ქართულის დრამატიულის საზოგადოების გამგეობა ამით იუწყება, რომ ხუთშაბათს, 23 ნოემბერს, ხანგრძლივის და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქართულის სცენის დამსახურებული არტისტი-ქალი

**კნ. ბარბარე ანდრიას ასული ავალიშვილისა.**

მიცვალებულს გამოასვენებენ სულით ავადმყოფთა ქსენონიდგან (სოლოლაკი, ამაღლების ქუჩაზე) კვირას, 26 ნოემბერს, დილის 9 საათზედ, ქაშუეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში. (1—1)

ქუთაისის ქართულის დრამატიულის დასის არტისტები, გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა გარდაცვალებასა ძვირფასის ამხანაგის და თანამშრომელის

**კნ. ბარბარე ანდრიას ასულის ავალიშვილისას,**

სთხოვენ მიცვალებულის ნაცნობთა და თაყვანის მცემელთა პატივი სცენ და დაესწრონ მიცვალებულის გამოსვენებას კვირას, 26 ნოემბერს, სულით ავადმყოფთა ქსენონიდგან (სოლოლაკი, ამაღლების ქუჩა), დილის 9 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში.

**შავი ქვის მწარმოებელთა კრების საბჭო**
ამით აცხადებს, რომ 30 ნოემბერს 1900 წელს, შუადღის 12 საათზედ, საბჭოს სადგომში ქუთაისს, მოხდება

**საჯარო ვაჭრობა,**

რომელზედაც იჯარით გაიცემა სამუშაოები დაბა ჭიათურაში სამრეწველო საურმე გზების გასამართავად. სამუშაო 8800 მანეთისა იქმნება.

ვისაც ამ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, უნდა წარადგინოს ვაჭრობის დაწყებამდე გირაო ნაღდ ფულად ან სარგებლიან ქაღალდებად. გირაო საიჯარო ფულის 10% უნდა უდრიდეს. ხარჯთ-აღრიცხვისა და პირობათა გასინჯვა შეიძლება ყოველ დღე საბჭოს სადგომში. უკვე შემდგარი ვაჭრობა დამტკიცებულ უნდა იქმნას საბჭოს მიერ. (3—6.—2)

**პირველი კერძო სამკურნალო**
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ჟ. ე. ჩიქოვანი.** 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. თ. პროტასევიჩი**—5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.**—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

**ბ. ა. თარხანოვი**—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არშანიტაკი**—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

**ტფილისის კერძო სამკურნალო**
მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

**ვ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

**ნ. ა. მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 11—12 საათ.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

**ვ. ლ. მარკევიჩი,** სადოსტაქრო.—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

საღამოთი:

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ა. ა. გელოგოლოვი**—შინაგანი და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## ახალი ამბავი

*** სამწუხარო ამბავი უნდა ვაუწყოთ მკითხველებს: გუშინ-წინ ღამე, $10^1/_2$ საათზედ, სულით ავადმყოფთა ქსენონში გარდაიცვალა ჩვენის ქართულის სცენის მოღვაწე მსახიობი-ქალი ბარბარე ანდრიას ასული ავალიშვილისა. განსვენებული, როგორც მკითხველებმა უწყიან, ეს ორი წელიწადია ავად იყო და სულით ავადმყოფთა ქსენონში იწვა. ნეკროლოგს ხვალის ნომერში დავსტამბავთ.

## ფელეტონი

### უცხოთა შორის

კრიუგერი ევროპაში.—ნაციონალისტთა ხრიკები საფრანგეთში.—სტუდენტების მიერ კაპენგაგენში დაარსებული იურიდიული ბიურო.—მკითხავები და „სასწაულთ-მოქმედნი".

მოხუცმა კრიუგერმა ხელ-ახლა აალაპარაკა ევროპა. ჩინეთში ამოვარდნილ ქარიშხალის გამო დროებით მივიწყებულმა ტრანსვაალმა კრიუგერის მოგზაურობის წყალობით ერთხელ კიდევ მიიქცია ხალხთა ყურადღება და ერთხელ კიდევ აალაპარაკა თავისს სასარგებლოდ სიმართლისა და თავისუფლების მოყვარულნი. წარმოუდგენელის აღტაცებითა და თანაგრძნობით მიეგებნენ საფრანგეთში 75 წლის მოხუცს, ცხრა მთას იქიდგან წამოსულს ევროპის ხალხთა წინაშე სიმართლისა და ჭეშმარიტების საძიებლად. წინადაც არა ერთ გზით უცხადებდნენ ფრანგები თანაგრძნობას ინგლისის ძალმომრეობისაგან დაჩაგრულ ერს, მაგრამ ეხლა, როდესაც ამ ჩაგრულის ხალხის წარმომადგენელი, იმის სულის ჩამდგმელი და წინამძღოლი თავიანთ მიწა-ადგილში ჰნახეს, ეს თანაგრძნობა გაორკეცდა.

მარსელში, სადაც გემი გაჩერდა, ნავთ-სადგურზედ კრიუგერის მისაგებებლად 300,000 კაცზედ მეტი შეიკრიბა. მარსელიდგან პარიჟამდე ყველა სადგურსა და ქალაქში აუარებელი ხალხი იკრიბებოდა მოხუცის გმირის სანახავად. მაგრამ ყველაზედ მეტი თანაგრძნობა კრიუგერს პარიჟში მოელოდდა. თუმცა მატარებელი $10^1/_2$ საათზედ უნდა მისულიყო, მაგრამ ის მოედნები და ქუჩები, რომლებზედაც კრიუგერს უნდა გაევლო, რვა საათიდგანვე ხალხით გაივსო. 9 საათზედ ამ ქუჩებსა და მოედნებზედ კაცს ველარ შეეძლო გავლა, ისე იყო გაჭედილი. თვით სადგურზედ პრეზიდენტს ელოდნენ სენატორნი, დეპუტატნი, ქალაქის თვით-მართველობის წევრნი, დელეგაციები, ჟურნალისტები და სხვანი. „გაუმარჯოს კრიუგერს! გაუმარჯოს ტრანსვაალს"! დაიგრიალა ერთხმად ამ ზღვა ხალხმა, როდესაც მატარებელს თვალი მოჰკრა. მოკლე მისაგებებელ სიტყვების შემდეგ კრიუგერი საპრეზიდენტო ეტლში ჩაჯდა და სასტუმროსაკენ ნელ-ნელა გაუდგა გზას. ეტლს ცხენოსანთა საერო გვარდია მისდევდა. ძნელი ასაწერია ის აღტაცება, რომლითაც ფრანგები ეგებებოდნენ კრიუგერს. ეტლის მიახლოვებისათანავე ყველანი ქუდს იხდიდნენ, ყვავილებს ესროდნენ ეტლს, ტრანსვაალის დროშებს და ხელსახოცებს იქნევდნენ ჰაერში და განუწყვეტლივ იძახდნენ: „გაუმარჯოს კრიუგერს! გაუმარჯოს ბურებს!" ხალხით გაჭედილ ქუჩაში ეტლმა ძლივს გაიკვლია გზა სასტუმრომდე. დიდხანს იდგა სასტუმროსთან ხალხი, იწვევდა აივანზედ კრიუგერს და ყოველთვის, როდესაც პრეზიდენტი მადლობის გადასახდელად გამოდიოდა, „ვაშას" ძახილით ეგებებოდა. განსაკუთრებით ხალხის აღტაცებას დასასრული არა ჰქონდა მაშინ, როდესაც თოვლივით გათეთრებულმა კრიუგერმა თან გამოიყვანა აივანზედ თავისი პატარა შვილის-შვილი, რომელსაც ხელში ტრანსვაალის დროშა ეჭირა.

ამავე დღეს ნაშუადღევის 4 საათზე კრიუგერი საფრანგეთის პრეზიდენტთან ლუბესთან იყო, ხოლო საღამოთი კრიუგერმა აუარებელი დეპუტაციები და წარმომადგენელნი მიიღო. მიიღო პრეზიდენტმა, სხვათა შორის, ირლანდიელთა დელეგაცია ქ-ნ მოდგონის მეთაურობით. დელეგაციამ გადასცა ადრესები, რომელზედაც თითქმის მთელ ირლანდიას უწერია ხელი. იყვნენ კრიუგერთან აგრეთვე პარიჟის სტუდენტებიც. სტუდენტები, რიცხვით 1000 კაცამდე, სორბონის მოედანზედ შეიკრიბნენ და აქედგან გაემართნენ იმ სასტუმროსაკენ, სადაც კრიუგერი იყო ჩამომხტარი. გზაში სხვებიც შეუერთდნენ,

*** ხუთშაბათს, 23 ნოემბერს, ქალაქის გამგეობის დარბაზში სხდომა ჰქონდა ქალაქის სასწავლებელთა გამგე-კომისიას ზოგიერთ საქმეების განსახილველად. კომისიამ პირველად განიხილა ქ-ნ ვორაბიოვის მოხსენება ქალაქის პირველ საქალებო საკვირაო სკოლის ყოველ წლობით შესანახ ხარჯად 300 მანეთის გადადების შესახებ. კომისიამ დაადგინა გადადებულ იქმნას ყოველ წლობით 300 მან. საკვირაო სკოლის შესანახად და ამასთანავე მოსთხოვონ ცნობები საკვირაო სკოლის გამგეს ამ სკოლის მოქმედების შესახებ. კომისიამ ხარფუხის ქალაქის პირველ დაწყებით სკოლის თათრულის ენის მასწავლებლად ამოირჩია ბ-ნი ჰუსეინ-ჰასან-ზადე. ამავე სხდომაზედ კომისიამ დაამტკიცა შეიმუშავონ წესი ქალაქის სკოლებში პუშკინის სახელობის 4 დასაარსებელ სტიპენდიის. კომისიამ აგრეთვე დაამთავრა სასწავლებელთა მკურნალისათვის შემუშავებულ ინსტრუქციის პროექტის განხილვა. ინსტრუქციას დასამტკიცებლად გამგეობა ამ ახლო მომავალში ქალაქის საბჭოს წარუდგენს.

*** გუშინ წინ, 23 ნოემბერს, ქალაქის გამგეობამ განიხილა ქალაქის მომავალ 1901 წლის ხარჯთ-აღრიცხვის 1 მუხლი და დაადგინა—გადადებულ იქმნეს: 1 ქალაქის პირველ დაწყებით სკოლების მასწავლებელ და მოსამსახურეთა ჯამაგირად 35,441 მან., ხოლო ამ სკოლების შესანახად 22,827 მან., ამას გარდა 2216 მ., სკოლების მოსაწყობად; 2) პუშკინის სახელობის სკოლების დასაარსებლად სულ 1557 მ., 3) ორის დედათა სკოლის შესანახად 8880 მან., 4) მისი იმპერატორებითი უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის სახელობის სკოლის შესანახად სულ 2236 მან. 67 კაპ., 5) ქალაქის სახელოსნო სკოლის შესანახად 40649 მან., 6) დედათა საპროფესიონალო სკოლის შესანახად—7720 მანეთი, 7) სხვა და სხვა სკოლების შესაწევად—3224, 8) მოსწავლეთა და მასწავლებელთა შესაწევად—1630, 9) მწვალებელთა შორის განათლების გასავრცელებლად 3000 მან. ამას გარდა სკოლების მართველ კომისიის განკარგულებაში იქმნება გადაცემული 1500 მან. სხვა და-სხვა საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

*** დორპატიდგან (იურიევიდგან) გვატყობინებენ, რომ წელს იურიევის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზედ სწავლა ორს ქართველს დაუმთავრებია: ნ. მელიქიშვილსა და ლ. მეფისაშვილს. მეფისაშვილი უნივერსიტეტის კლინიკაში დარჩენილა ასსისტენტად.

*** ქალაქის მოურას, 23 ნოემბერს, ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელისთვის წარუდგენია დასამტკიცებლად ღორის ხორცის დროებითი ნიხრი. ამ ნიხრით ლორი ჰლირს გირვანქა—15 კაპ., რბილი ხორცი—12 კაპ., დანარჩენი ხორცის ნაწილები—10 კაპეიკად გირვანქა.

*** დუშეთის მაზრის ზოგიერთ სოფლების მცხოვრებლებმა, რომელნიც დუშეთში ვაჭრობენ, ტფილისის გუბერნიის უფროსს საჩივარი მიართვეს. უჩივიან დუშეთის ქალაქის მამასახლისს, რომ ქალაქის გამგეობიდგან ჩვენის საქმეებისათვის საჭირო საბუთების გამოტანაში 1899 წლიდგან დაწყებული დამატებითს გარდასახადს გვახდევინებსო: რძით მოვაჭრეებს წელიწადში 3 მან., ქართველ თერძებს—3 მანეთს, თერძია შეგირდებს—1 მან., და ფართლეულობით მოვაჭრეებს—10-დგან 12 მან. წელიწადში და სთხოვენ გუბერნიის უფროსს, ამ უკანონო გადასახადის გაუქმებას.

*** ქალაქის ბეითალს ბ-ნს ვარშამოვს ტფილისის პოლიციმეისტერისათვის წარუდგენია მის მიერ შემუშავებული პროექტი მოსამსახურეთა და მათ დამქირავებელთა ურთიერთ შორის დამოკიდებულების წესრიგისა და მოსამსახურეებზედ დასაწესებელ ზედამხედველობის შესახებ.

*** ამას წინად ჩვენ ვ(ა)ქონდა მოხსენებული საქართველოს საექსარხოსო სამრევლო-საეკკლესიო და წერა-კითხვის სკოლების მართვა-გამგეობის შეცვლის ამბავი. ახლა, როგორც გაზეთები იწერებიან, სასწავლებელთა საბჭოს წევრებად იქმნებიან აგრეთვე კავკასიის მთავარმართებლისა და ტფილისის გუბერნატორის წარმომადგენელნი. გარდა ამისა, განზრახვა აქვთ ახალის პროექტის თანახმად, გურია-სამეგრელოსა, იმერეთისა და სოხუმის ეპარქიის სასწავლებელთა საბჭოები დაუქვემდებარონ ახალის სასწავლებელთა საბჭოს, რომლის თავმჯდომარედ დანიშნული იქმნება საქართველოს ექსარხოსი.

*** სასულიერო უწყებას განუმარტავს, რომ ვინც მღვდლობის ან საეკკლესიო სხვა რამე თანამდებობის ეგზამენს პირველად ვერ გარდაიხდის, მეორედ ნება მიეცემა გამოცდისა ექვს თვეზედ არა ადრე, ხოლო თუ მეორედაც ვერ გარდაიხადა—წელიწადზედ არა ადრე; და თუ მესამედაც ვერ აღმოაჩნდა საჭირო ცოდნა, სრულიად აღეკრძალება ეგზამენი.

*** ამ რამდენისამე ხნის წინად ივრის ხეობაზედ, ერთი სოფლის ახლოს, მიწის თხრის დროს, ერთი დიდი ქილა უპოვნიათ სავსე ძველი ქართული ფულითა. სამი ფული ამ ქილიდგან ტფილისშიაც ჩამოიტანეს. ერთი ამათგანი თამარ მეფის დროისა აღმოჩნდა; ფული კარგად შენახულა. ერთს მხარეს ქართული წარწერა აქვს ასე:—„დავითი და თამარი“, მეორე მხარეს არაბული წარწერა აქვს. დანარჩენის ორის წარწერა კი კარგად ვერა სჩანს.

*** სომეხ-გრიგორიანთა მოძღვარმა ტ. გ. აღაიანმა სომხურს ენაზედ ოთხი ვრცელი წიგნი დასტამბა ეჩმიაძინის წიგნთ-საცავის მასალებისა, რომელსაც სახელად ეწოდება „მდივანი სომხეთის ისტორიისა“. მეოთხე წიგნში დიდ-ძალი მასალებია მოთავსებული საქართველოს შესახებ. როგორც პატივცემულმა აღაიანმა გადმოგვცა, მეხუთე ტომიც მალე დაიბეჭდება თურმე, სადაც დიდძალი მასალა იქმნება მოთავსებული საქართველოს XVII საუკ. ისტორიულ პირების შესახებ.

*** 11 იანვარს ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის განყოფილებაში დანიშნულია განსახილველად სამხედრო მატარებლის ძეგვის ხიდთან დამსხვრევის საქმე. სამართალში მიცემულია მე 6-ე ნაწილის უფროსის თანაშემწე ინჟენერი თეოდ. ნაგელი, სად. მცხეთის უფროსის თანაშემწე აზნაური ოქროპირ ჯავახიშვილი და გზის ოსტატი კონსტ. სახურია.

*** „ცნობის ფურცელი“ სწერს: „ჩვენ შევიტყვეთ, რომ ბ. ე. თაყაიშვილის თაოსნობით, შემდგარა ტფილისში „ქართულ ისტორიის და ლიტერატურის მოყვარეთა“ წრე. ხსენებულ წრეს მიზნად აქვს გამოსცეს საქართველოს საისტორიო და სალიტერატურო მასალები“.

*** სოფ. ართანა (თელავის მაზრა) 20 ნოემბერი. ამ დღეებში აქ ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა: ართანის ტყეში, კავკასიონის მთის პირად, თიანელ მეცხვარეებს, გვარად ტიგინაშვილებს, ცხვარი სდგომიათ. ღამე მისცვივნიან სამი შეიარაღებული კაცი. ორი მეცხვარე თოფით მოუკლავთ, ხოლო მესამე, უმაწვილი ბიჭი, რომელიც ჯოხით უბეგვნიათ, გასხლტომია ხელიდამ და დამალვიათ ტყეში. მეორე დღეს ამ ბიჭს ჩამოუტანია სოფელში ეს ამბავი.. ამბობენ, რომ ავაზაკები ლეკები იყვნენო, თუმცა ჯერ დაბეჯითებით არავინ რა იცის. ზოგი ამბობს: ცხვარი გაურეკნიათო, ზოგიც—არაო, შურის ძიებით დაუხოცნიათო. შარშან წინებში იმ ადგილას სხვა თიანელ მეცხვარესა ჰქონია ბინა. მის ახლო ლეკო მუშებიც უფოვიდან ტყეში. ამ მუშებს თიანელის ბინა გაუქურდნიათ. თიანელს კიდევ სამართლით გადაუხდევინებია დანაკარგი ლეკოებისათვის. ახლა იმ ბინაში სხვები ჩამოსულან. ლეკოებს პირველნი ჰგონებიათ და ამათზე უურიათ ჯავრი. ასე ლაპარაკობენ, ხოლო ნამდვილი მიზეზი არავინ იცის ჯერ.

დეკემბისთვეში კახეთს ძალიან შეუტია და თოვლიც დასდო. ახლა თოვლი აშრა და მშვენიერი ამინდები დაიჭირა. კახელების გულის ძგერა რკინის გზა არის, მაგრამ მისი ამბავი ძალიან დაგვიძვირდა. ერთ-ხანად ის ხმაც გავრცელდა, რომ აღარ აკეთებენო და ძალიან დავდონდით. ახლა ბოლოს გაზეთებმა შეგვატყობინეს, რომ ჩქარა დაიწყობენო, და ჩვენს სიხარულს საზღვარი აღარა აქვს.

## თეატრის მატიანე

„კაეშანი“, დრამა 5 მოქ. თხზ. შპაჟინსკისა. თარგმ. მარჯანოვისა. „მათიკო“ (მესამე მოქმედება), ავქ. ცაგარლისა

შპაჟინსკის დრამა „კაეშანი“, თუ არა ვცდებით, ტფილისში წარსულ ხუთშაბათს პირველად წარმოადგინეს. ეს დრამა კარგა ხანია, რაც დაწერილია, მაგრამ ამისდა მიუხედავად „კაეშანს“ რუსულ სცენაზედ დღესაც ხშირად ადგენენ და ხალხი ყოველთვის სიამოვნებით ეტანება. აი მოკლედ შინაარსი დრამისა.

მოქმედება პროვინციალურ ქალაქში სწარმოებს. ხანში შესულს შეძლებულ ვაჭარს ნედიხლიაევს (ვ. მესხიშვილი) ცოლად ახალგაზდა და ლამაზი ქალი ჰყავს, მარია ილინიშნა (კარგარეთელი). ნედიხლიაევი უბრალო, გულ-კეთილი და გულუბრყვილო კაცია. თავისი ახალგაზდა ცოლი ნედიხლიაევს გაგიჟებით უყვარს. იგი არაფერს არ იშურებს ცოლისთვის, თავს ევლება, ეალერსება, პირველ ხანს დარწმუნებულიც არის, რომ ცოლი პატიოსანი ქალია, მაგრამ შემდეგ, როდესაც შემთხვევით თავისს სახლში ახალგაზდა

---

ასე რომ მათი რიცხვი 2000-მდე ავიდა. სასტუმროსთან სტუდენტებმა 20 კაცი აირჩიეს და შეჰგზავნეს კრიუგერთან. ერთმა მათგანმა გამოუცხადა პრეზიდენტს, რომ პარიჟის სტუდენტობას აზრადა აქვს მიჰმართოს სახელმწიფოთა მთავრობებს და სთხოვოს სამედიატორო სასამართლო იქმნას დანიშნული ინგლის-ტრანსვაალის საქმის გადასაწყვეტადაო. კრიუგერმა მადლობა გამოუცხადა დეპუტატებს და დაუმატა, ჩვენმა მოსწავლე ახალგაზდობამ მხურვალე მონაწილეობა მიიღო ბრძოლაში და ბევრმა მათგანმა თავიც-კი შესწირა სამშობლოსაო.

***

ასეთის თანაგრძნობით მიეგება საფრანგეთი კრიუგერს, მაგრამ ეშველება რამე თუ არა ამ თანაგრძნობით ტრანსვაალს, ეს მხოლოდ ალლაჰმა უწყის. ძნელი მოსალოდნელია, რომ მთავრობამ ბურებისათვის თავი გამოიდოს და ინგლისს მოსთხოვოს რამე იმათ სასარგებლოდ. საფრანგეთში მხოლოდ ნაციონალისტები გაიძახიან წამ-და-უწუმ, რომ საფრანგეთი უნდა მიეშველოს ტრანსვაალს და გამოჰგლიჯოს ხელიდგან ინგლისსაო. მაგრამ ნაციონალისტთა მოქმედება ამ საქმეში გულწრფელი არ არის. იმათ ერთი რამ უნდათ მხოლოდ, ხალხის თვალში მთავრობა გააშავონ,—აი, დაჩაგრულ ერს არ ეშველებაო. კრიუგერის მოსვლასაც მხოლოდ ამისთვის ელოდნენ მოუთმენლად. საზოგადოდ ნაციონალისტები არავითარ ეშმაკობასა და ხრიკს არ ერიდებიან მთავრობის გასაწბილებლად. ამ ვითომცა სამშობლოსათვის თავ გამოდებულთა დასახასიათებლად შემდეგი მაგალითიც საკმაოა.

ამას წინად დეპეშებმაც-კი გადმოგვცეს, რომ ახალშენთა სამინისტროში ბოროტ-მოქმედება აღმოჩნდაო: სამინისტროს წევრნი, მათ შორის თვით ახალშენთა მინისტრის შვილი, ღირსეულთ და არა ღირსეულთ ორდენებს ურიგებენ და ამაში ფულს იღებენო. მთელი ეს საქმე, რომელმაც პირველ ხანს მართლაც აალაპარაკა პარიჟი, ნაციონალისტთა მეთაურის დრიუმონისა და იმის გაზეთის „Libre Parole“-ს მიერ განგებ გამოგონილი ჭორი გამოდგა.

ერთ მშვენიერ დღეს გაკვირვებულმა პარიჟელებმა ამ გაზეთში ამოიკითხეს, რომ „მთავრობის ერთ დაწესებულებაში საოცარი ბოროტ-მოქმედება აღმოჩნდაო“. შენიშვნა მეტად ბუნდოვანად იყო დაწერილი და ვერავინ ვერაფერი გაიგო. შემდეგ ნომერში გაზეთი აცხადებდა, რომ „საქმე“ ორდენების გაყიდვას შეეხებაო. მერე მკითხველებმა გაიგეს, რომ „ბოროტ-მოქმედება“ ახალშენთა სამინისტროში მოხდა და დამნაშავე „მეტად წარჩინებული“ კაციაო. რამდენიმე დღე კიდევ აწვალა ასე გაზეთმა მკითხველები (სარგებლობა აშკარა იყო: ამ გაზეთისა რამდენიმე ასი ათასი ცალი მეტი გაიყიდა ერთ კვირაში) და ბოლოს გამოაცხადა: ვინმე გონზალეს მეიერს ახალშენთა მინისტრის შვილმა 25000 ფრანკი გამოართვა და დაჰპირდა, ორდენს მოგცემთო, მაგრამ აღარ მისცეს. ამის გამო მეიერმა საჩივარი დაიწყო, მაგრამ რადგანაც ქრთამი მისცეს, საჩივრის ქაღალდი სასამართლოდგან უკანვე გამოიტანაო და სხვა და სხვა. ამასთან ვინ იცის, რა საკვირველ ამბებს არ ავრცელებდა გაზეთი: ამ საქმის გამო სამინისტროს საგანგებო კრება ჰქონდაო, მინისტრებს შორის დიდი ალიაქოთი და უთანხმოება ასტყდა, მინისტრები დეკრე, მილიერანი და მონისი თანამდებობიდგან აპირობენ გადადგომასაო. გაზეთმა ამ მინისტრების მოადგილენიც-კი დაასახელა.

რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ეს ამბავი პარიჟში ერთ მითქმა-მოთქმასა და ალიაქოთს გამოიწვევდა: როგორ მოხდა ყველა ეს აგრე მოულოდნელადაო, ეკითხებოდნენ გაოცებულნი პარიჟელნი ერთმანეთს. ბოლოს ამის თაობაზედ პარლამენტში სამინისტროსაც შეეკითხნენ. მინისტრებმა ერთხმად განაცხადეს, რომ არაფერი მაგვარი არ მომხდარა, საჩივარი არავის შეუტანია სასამართლოში და საზოგადოდ მთელი ეგ საქმე თავიდგან ბოლომდე გამოგონილიაო. მინისტრ-პრეზიდენტმა ნაციონალისტებს ისიც-კი ჰკითხა, ერთი გვასწავლეთ, სად არის ეგ ვილაც მეიერია, რომელსაც პოლიცია ეს ერთი კვირაა უნაყოფოდ დაეძებს მთელ პარიჟშიო.

ყველამ პარლამენტში იქით მიიხედა, საითაც „La Libre parole“-ს რედაქტორი, დეპუტატი დრიუმონი იჯდა. მთელი პარლამენტი მოუთმენლად ელოდა პასუხს. ბოლოს დრიუმონი ტრიბუნაზედ ავიდა. „ჩემის აზრითაო,—დაიწყო არხეინად დეპუტატმა,—ჟურნალისტის ვალდებულებაა გაფაციცებით თვალ-ყური ადევნოს ცხოვრებას და გაზეთში შეიტანოს ყველა ის, რასაც ჰაერში მოჰკრავს ყურს. მე არ ვამბობ, რომ ეს ამბავი მართალია-მეთქი, მაგრამ ვამტკიცებ-კი, რომ სახელოსნოებშიაც, დარბაზებშიაც და გაზეთის რედაქციებშიაც ლაპარაკობენ ამის თაობაზედ“, და მთელი ერთი საათი ამ საგანზედ გააბა ლაპარაკი დრიუმონმა.

აი, ასე და ამრიგად აცხობენ ჭორებს დღეს საფრანგეთში ნაციონალისტთა გაზეთები...

***

ამ თხუთმეტის წლის წინად დანიის სატახტო ქალაქ კოპენგაგენის ერთ მივარდნილ ქუჩაში ადგილობრივმა სტუდენტებმა დააარსეს ღარიბ მცხოვრებთათვის მეტად სასარგებლო დაწესებულება—იურიდიული ბიურო. ბიუროს დამაარსებელთ აზრადა ჰქონდათ შემწეობა აღმოეჩინათ სასამართლოში საჩივრებისა და დავების დროს ღარიბ და ხელ-მოკლე მცხოვრებთათვის. მოგეხსენებათ, უმნიშვნელო საქმეც-კი, სასამართლოში დაწყობილი, რა დიდ წვალებასა და ხარჯსა თხოულობს. ხშირად ასეთი უბრალო საქმე უვიცობისა და სიღარიბის მეოხებით მთელ ოჯახსა ჰღუპავს. კოპენგაგენის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის სტუდენტებმა სწორედ ამ გარემოებას მიაქციეს ყურადღება და დააარსეს ბიურო.

როგორცა ვთქვით, ბიურო მოთავსებულია ქალაქის განაპირა უბანში, სადაც მუშა და ხელ-მოკლე ხალხი სცხოვრობს. ბიურო დილით საღამომდე ღიაა. ყოველ დღე 5—6 ვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაველ რუბენიკოვსა (სვიმონიძე) ჰნახავს, ეჭვი ებადება. ამ დღიდგან იწყობა ნედიხლიაევის ტანჯვა და ეს ტანჯვა უორკეცდება იმის გამო, რომ ნედიხლიაევი სუსტის ხასიათის პატრონია, იგი ჰგრძნობს, რომ პატარა, უმნიშვნელო კაცია და ისიც-კი ვერ გაუბედნია, ცოლს პირდაპირ გამოუცხადოს გულის ნადები, პირდაპირ უთხრას, მღალატობო. ასევე ექცევა ნედიხლიაევი ახალგაზდა რუბენიკოვს. გაწყრომისა და გაჯავრების ნაცვლად ეალერსება, ეუბნება, რატომ ჩვენსას აღარ მოდიხარო. რასაკვირველია, სხვა, უფრო მაგარის ხასიათის პატრონი, სხვანაირად მოიქცეოდა ამ შემთხვევაში. ბოლოს, როდესაც რწმუნდება, რომ ცოლი მართლაც მღალატობს და რუბენიკოვს ევლება თავსაო, შეყვარებულთა მოკვლასაც განიზრახავს, მაგრამ, როგორც სუსტის ხასიათის კაცი, უკანასკნელ წუთს ამასაც ვერ ახერხებს და დანა ხელიდგან უვარდება. პიესაში სხვა მომქმედნიც არიან გამოყვანილნი, მაგალითად, ნედიხლიაევის და ტაისა ეფიმოვნა (ჩერქეზიშვილისა), პროხორ რევიკინი (გედევანოვი), ნედიხლიაევის მეგობარი და კარგი ნაცნობი, და სხვანი, მაგრამ უმთავრესი გმირი პიესისა თვით ნედიხლიაევია და ყურადღებასაც ამ დრამაში უმთავრესად ნედიხლიაევი იქცევს, ამ გულ-უბრყვილო და უმნიშვნელო კაცის ეჭვი, ტანჯვა-წვალება იპყრობს მაყურებელთა ყურადღებას.

ბ-ნმა მესხიშვილმა, რომელიც ნედიხლიაევის როლს ასრულებდა, უნაკლულოდ გადმოგვცა ამ ეჭვით შეპყრობილ კაცის სულიერი ტანჯვა. მესხიშვილმა თავისის ხელოვნურის თამაშობით ნათლად დაგვანახვა, რა ძლიერის დრამის გამოვლა შეუძლიან ისეთ კაცუნასაც კი, როგორიც ნედიხლიაევია. საუცხოვო იყო ბ-ნი მესხიშვილი განსაკუთრებით მეოთხე მოქმედების უკანასკნელ სცენაში. საზოგადოება დიდის აღტაცებით დაუხვდა საყვარელ არტისტს და მრავალ ჯერ ხანგრძლივის ტაშის ცემით დააჯილდოვა.

სხვა მოთამაშეთა შორის კარგად შეასრულეს თავიანთი როლები ქ-ნებმა ჩერქეზიშვილისამ და კარგარეთელმა და ბ-ნმა გედევანოვმა. სვიმონიძეს შეუფერებელი როლი ჰქონდა. პიესით რუბენიკოვი 19—20 წლის კაცია, სვიმონიძე-კი გარეგნობით 30 წლის კაცზედ მეტისა სჩანდა. არა უშავდა რა აგრეთვე ქ-ნს მდივანსაც.

პიესა მეტად უხეირო ენითაა ნათარგმნი.

ამ საღამოსვე წარმოდგენილმა ავ. ცაგარლის პიესის „მათიკოს“ მესამე მოქმედებამ მხიარულად ჩაიარა. მხოლოდ არ შეგვიძლიან არ ვუსაყვედუროთ რეჟისორს ისეთის მომღერლების სცენაზედ გამოყვანისათვის, როგორნიც ხუთშაბათს ვნახეთ. ამ მოქმედებაში უმთავრესი სიმღერაა და ისიც უხეიროდ შეასრულეს.

მობენეფისეს რამდენიმე საჩუქარი მიართვეს. საზოგადოება წარმოდგენას ბლომად დაესწრო.

მოკეთე

## წერილი ქართლიდან

**ს. ხელთუბანი**, 12 გიორგობისთვე. კარგა ხანია ხელთუბანზედ გაზეთებში აღარა დაწერილა რა, თუმცა საგაზეთო ამბები ბევრი იყო. ავიღოთ თუნდაც ზაფხული. ჩვენი კარგად თუ ავად ყოფნა ჭირნახულზედ არის დამოკიდებული; ამიტომ ჭირნახულიდგან დავიწყოთ. გაზაფხულიდგანვე ჭირნახულებს კარგი პირი უჩანდა და ძალიანაც გვიხაროდა, ვისაც ერთა-ორი დღის ნახიჩქნი გვქონდა, ნამეტნავად მეჯუღის პირებზედა და ეგრედ წოდებულს „კუნელიანებზედ“, მაგრამ დაიწმინდა თუ არა თავთავი ყანამ, დაეხვია რაღაც უცნაური მფრინავი ჭია ბუჭუა, რომელიც სიცხეში ძირსა ცვიოდა და დახეთქილს მიწაში იმალებოდა, აგრილდებოდა თუ არა და შეეხვეოდნენ ისევ თავთავს. თითო თავთავზედ ორზედ და სამზედ ნაკლები ბუჭუა არ იჯდა. ეს ბუჭუა სხვა-და-სხვა ფერია, ზოგი მოშავო, ზოგი მოწითლო, ასკილის ფერი, სიდიდით ბრტყელი ღობიოს ოდენა. ახვევია თავთავს, სანამ მარცვალს სიჩხინტე აქვს; გახმება თუ არა ყანა, ბუჭუაც სადღაც იღუპება. ამ ჭიისაგან გამოწუწნული ყანა გაფუშკილი სდგას და შავი ფერი დაჰკრავს. თითქმის ბზეც-კი აღარ ვარგა იმისი. (იქნებ ეს ბუჭუა, „გოტენტოტურს ბაღლინჯოს“ რომ ეძახიან, ის ყოს?) ამ რიგად ბუჭუამ მთელი ეს მინდორი ისე შეჭამა, რომ სადაც ხუთი კოდი იყო დათესილი, სამი კოდი ძლივს და აიღეს და ისიც ნახევარი ფშუტე, ზოგი გვერდ გამოხრული და ზოგიც ნახევარი. დაზარალებულებს უნდოდათ მთავრობისათვის გამოეცხადებინათ, იძახდნენ: თუ არას მოგვცემენ, ხომ არას წაგვართმევენო, მაგრამ, მოგეხსენებათ, სოფელში უკუღმართი კაცი არ დაილევა: მოვლენ, კაცო, მოუკიდებენ ცეცხლს, გადასწვენ და ბზესაც ვეღარ გამოიყენებთო; ან და ხალხს გაჰრეკენ, ხელით დააწყვებინებენ ჭერას და ჭირნახულს ხომ წაახდენენ, თან ჩვენც მოგვშრეტენ, მოგვაცდენენო. ასე რომ, ვისაც სოფლის სხვა განაპირა ჰქონდა მოხნული, იმათ მოუვიდათ პური და ვისაც მეჯუღაზედ და კუნელიანებზედ, სულ ცარიელები დასხდნენ. შარშან წინაც იყო ეს ჭია და შარშანაც, „ივერიაშიაც“ ვწერდი, მაგრამ ყურადღება არავინ მიაქცია. როგორც ეტყობა, უფრო ლამიანს ეტანება, და თან წყალს მიაქვს იმისი თესლი და სხვაგანაც ავრცელებს; ეს იქიდგან ეტყობა, რომ რადგან მინდორს გაზაფხულზედ იქ მეჯუღის წყლითა რწყვენ, ეს ბუჭუაც თან-და-თან ისეთს ადგილებს ედება, სადაც ლამის ნასახიც არ არის. ამ ბუჭუამ წელს ს. ბერბუკის ბოლოზედაც შეჭამა ყანები. სამწუხაროდ, საბრძოლი საშუალება არაფერი ვიცით იმის გარდა, რომ მთლად მეჯუღის მხარე და კუნელიანზედ მდებარე მიწები ან გავაყამიროთ, ანა-და სიმინდები დავთესოთ. ბარემ სიმინდიც გლეხ-კაცისათვის კარგია, მაგრამ უბედურობა ის არის, რომ მდინარე მეჯუდა მაისის გასულსვე სწყდება და სიმინდი-კი თუ თვეში ერთხელ მაინც არ მოირწყო აქ, ჩალაც არ მოვა. ჩვენს „თუმანიანთ რუზედ“ კიდევ დაიხვიდგან ათასში ერთხელაც არ გვადირსებენ ხოლმე წყალს.

საზოგადოდ, პურის მოსავალი საშუალო იყო, სიმინდის-კი ძალიან კარგი, ასე რომ ამისთანა სიმინდები ამ ათ წელიწადში არა ყოფილა. ალბად ეს არის მიზეზი, რომ პურმა ოთხაბაზზედ ზევით არ აიწია ფუთზედ. თუმცა შარშან დიდი მოსავალი იყო პურისა, მაინც კოდი ოთხმანეთზედ დაბლა არ გაუიდულა და წრეულს კი ამ ნაკლებ მოსავალთან შედარებით ნაკლებად იყიდება. ასე რომ, გორის ბაზარზედ აღაფეები ფუთ ხორბალში 80 კაპ. იძლევიან, გარეშე მყიდველი კი, სოფლებიდგან მოსულები, ფუთში, თუ კახორბალია, 90 კ. იძლევიან, ფქვილში მანეთს. ქერი ფუთი 50 კ. ფასობს. სიმინდი 49 კაპეიკად, კომბოსტო 20 კაპ. ფუთი, ნიორი ფუთი 1 მ. 60 კ; სხვა ფეხის მოსავალიც არ არის ძვირი.

აქაური

(დასასრული იქნება)

## † უგანათლებულესი თავადი ა. კ. იმერეთინსკი

(ნეკროლოგი)

როგორც მკითხველებმა დეპეშებიდგან უკვე უწყიან, ამას წინად გარდაიცვალა ვარშავის გენერალ-გუბერნატორი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, გენერალ-ადიუტანტი, ინფანტერიის გენერალი უგანათლებულესი თავადი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე იმერეთინსკი.

ა. კ. იმერეთინსკი იმერეთის უკანასკნელ მეფის შვილის-შვილი იყო; დაიბადა 24 სექტემბერს, 1837 წელს. განსვენებული ჯერ პაჟთა კორპუსში სწავლობდა, 1855 წ. სამსახურში შევიდა ლეიბ-გვარდიის დივიზიონში, შემდეგ სწავლის დასამთავრებლად ნიკოლოზის საგენერალო შტაბის აკადემიაში შევიდა, სადაც მესამე ხარისხით გაათავა კურსი. ალექსანდრე კონსტანტინეს ძემ ომში პირველად კავკასიაში მიიღო მონაწილეობა. 1863 წ. თავ. იმერეთინსკი შტაბს-კაპიტანის ჩინით დანიშნულ იქმნა ვარშავის ოლქის გვარდიის შტაბის უფროსად, ხოლო 1869 წ.—ვარშავის სამხედრო ოლქის უფროსის თანაშემწედ, ებოძა გენერალ-მაიორობა და ჩარიცხულ იქმნა მისის უდიდებულესობის ამალაში. თავ. იმერეთინსკი პოლონეთში 12 წელს მსახურებდა. 1875 წ. იგი პეტერბურგში დაბრუნდა და მსროლელთა ბატალიონთა ინსპექტორის თანაშემწედ იქმნა დანიშნული, ხოლო 1877 წ.—მეორე ქვეითა დივიზიის უფროსად. ამ ჯარს თავადი უძღოდა რუს-ოსმალეთა ომში. ომში თავი გამოიჩინა თავ. იმერეთინსკიმ სკობელევთან ერთად ლოვჩისა და პლევნის აღების დროს და მიიღო გენერალ-ლეიტენანტობა, წმინდა გიორგის მე-4 ხარისხის ჯვარი და შემდეგ ორდენი მე-3 ხარისხისა, ამ ომის დროს თავადმა იმერეთინსკიმ ძალიან ისახელა თავი. 1878 წ. ა. კ. დანიშნულ იქმნა ოსმალეთთან მებრძოლ ჯარის შტაბის უფროსად და მისის უდიდებულესობის გენერალ-ადიუტანტად. რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ პეტერბურგის სამხედრო ოლქისა და გვარდიის ჯართა შტაბის უფროსად იქმნა დანიშნული. ამ თანამდებობას ასრულებდა 1881 წლამდე. ხოლო ამ წელს მიწვეულ იქმნა სამხედრო სასამართლოს გამგეობის უფროსისა და მთავარ სამხედრო ბრალმდებლის თანამდებობაზედ. 1892 წელს უმაღლესის ბრძანებით სახელმწიფო საბჭოს წევრად იქმნა დანიშნული. ხოლო 1897 წელს ვარშავის გენერალ-გუბერნატორად. პოლონეთში თავადმა იმერეთინსკიმ მალე დაიმსახურა ადგილობრივის საზოგადოების ყურადღება. იმის დროს დაარსდა ვარშავაში პოლიტეხნიკუმი, სუვოროვის კადეტთა კორპუსი, საგეს მიცკევიჩის ძეგლი და მრავალი საკომერციო სასწავლებელი.

## უცხოეთი

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** როგორც გაზ. „Berlin. Tagebl.“-ი იუწყება, ინგლისი საფრანგეთთან შეთანხმებულა, რომ ტრანსვაალის საქმის

---

ქილი მორიგეობს. თვითოეულს ამათგანს თანაშემწეებად რამდენიმე კანდიდატი და სტუდენტი ჰყავს. ვექილები მსურველს რჩევას აძლევენ, საჭირო ცნობებს ჰკრებავენ, სასამართლოში იცავენ ბრალდებულთ და სხვა. ამ ბიუროს თვით სტუდენტებისათვისაც დიდი სარგებლობა მოაქვს: საქმის წარმოებას ეჩვევიან და პრაქტიკულად ვექილობას სწავლობენ.

პირველ ხანს ბიურო მხოლოდ რჩევას აძლევდა მსურველს, თხოვნებსა სწერდა, ცნობებს ჰკრებავდა, მაგრამ ამ ოთხის წლის წინად ბიურომ პირობა შეჰკრა რამდენიმე ცნობილ ვექილთან, რომელთაც უსასყიდლოდ იკისრეს საქმეების დაცვა სასამართლოში. ამას გარდა ბიუროს ეხლა ჯამაგირით საკუთარი ვექილიცა ჰყავს. ფულს არავის ახდევინებენ რჩევა-დარიგებასა და საქმის წარმოებაში. მაგრამ ყველა ის, ვინც სასამართლოში სადავო საქმეს იგებს და მოწინააღმდეგისაგან ფულს იღებს, ცოტა რამეს ბიუროსაც შესწირავს ხოლმე; ამას გარდა მოდავე სასამართლოს ხარჯს იხდის. ხშირად ბიურო სასამართლომდე არც-კი მიიყვანს ხოლმე საქმეს: იბარებს ორივე მხარეს და მორიგებით, მშვიდობიანად ათავებს საქმეს.

პირველსავე წელიწადს ბიუროს შემწეობისათვის 12,780 კაცმა მიჰმართა, ხოლო 1898 წელს ბიურომ 25.000 კაცზედ მეტს აღმოუჩინა შემწეობა. საქმეებს განაგებს კავშირის წევრთა მიერ არჩეული გამგეობა. საზოგადო კრება წელიწადში ოთხჯერ ხდება. ბიუროს ქონებას თითქმის მხოლოდ შემოწირულება შეადგენს. ქალაქი აძლევს 600 კრონს (კრონი 50 კაპეიკია), ამდენსავეს მთავრობა, დანარჩენს წევრებს შორისა ჰკრებავენ და კერძო კაცები სწირავენ. 1898 წელს ბიუროს შემოსავალი ჰქონდა 6,550 კრონი, ხარჯი-კი—5,400 კრონი. აი, ამ მცირე თანხით ბიურო ბევრ საკეთილო საქმეს აკეთებს.

უმთავრესად ბიურო შემწეობასა და დახმარებას უწევს მუშებსა, წვრილ მოსამსახურეებს, ხელოსნებს, ხელ-მოკლე ნოქრებს, სახელოსნოების შეგირდებს, ქმრების მიერ მიტოვებულ ცოლებს და სხვათა. რაც შეეხება თვით საჩივრებს, პირველი ადგილი ამ შემთხვევაში განქორწინების საქმეებს ეკუთვნით. სისხლის სამართლის საქმეები მეტად ცოტაა ხოლმე, მაგრამ ბიურო მარტო ამით არა კმაყოფილდება და ამ ბოლოს დროს სხვაფრივაც ბევრ ნაირად ეხმარება ღარიბებს. მაგალითად, მსურველს უწერავს წერილს უცხო ენაზედ, მეფის სახელობაზედ გასაგზავნ თხოვნას, დაეძებს ადგილს უადგილოთათვის. ერთის სიტყვით, ბიურო არავითარ საქმეს არა თაკილობს. ამას წინად ერთ მუშას ლ. ტოლსტოის ზოგიერთი თხზულება წაუკითხნია. ისე მოსწონებია, რომ მოუსურვებია ტოლსტოის სურათის შეძენა ტოლსტოის მიერვე ზედ-წარწერით. მუშას ამ თხოვნით ბიუროსათვის მიუმართავს, ხოლო ბიუროს იმავე დღეს წერილი გამოუგზავნია შესანიშნავ მწერალთან.

* * *

რასაკვირველია, ასეთ და ამ გვარ დაწესებულებებს დიდის სარგებლობის მოტანა შეუძლიანთ გაუნათლებელ და ღარიბ ხალხისათვის, განსაკუთრებით იქ, სადაც ამ ხალხს გარს ათასი გაიძვერა ახვევია, რომელნიც, ვინ იცის, რა ხრიკსა და ხერხს არა ჰხმარობენ, რომ მეზობლის უვიცობით ისარგებლონ. ხოლო ევროპასა და ამერიკაში რომ მრავლად მოიპოვება ამ გვარი გაიძვერა, ეს, ვგონებ, საიდუმლოს არავისთვის შეადგენს. ავიღოთ თუნ და მკითხავები. ამბობენ, მკითხავნი მარტო გაუნათლებელ და კულტურით დაბალ საფეხურზედ მდგომ ხალხში მოიპოვებიანო. შემცდარი აზრია: იმდენი მკითხავი, რამდენიც, მაგალითად, მარტო პარიჟშია, მთელ რუსეთში არ მოიპოვება. მერე როგორი მკითხავები?

პარიჟში სცხოვრობს ამ ჟამად ვინმე ქ-ნი დე-ტიებო. ამ ქალის მდიდრულად მორთულს, ძვირფასის ხალიჩებით დაგებულ და ნივთებით დამშვენებულ დარბაზში რომ შეჰხვიდეთ, მეფის სასახლე გეგონებათ. არაფერი არ აკლია ამ ქალს: სიმდიდრე, პატივი, სახელი. ისევე იცნობენ დე-ტიებოს პარიჟსა და მთელ საფრანგეთში, როგორც პრეზიდენტს ლუბესა და რომანისტს ზოლას. და აი, ამ ქალმა ასეთი სიმდიდრე და სახელი მხოლოდ მკითხაობით მოიპოვა. ყველანი მიდიან სამკითხაოდ დე-ტიებოსთან: არისტოკრატნი და ხელოსანნი, მილიონერები და მუშები, ლიტერატორნი და ჟურნალისტნი. ორჯელ დე-ტიებო იტალიის ქვრივ დედოფალმა მარგარიტამაც-კი დაიბარა რომში. ამბობენ, რამდენიმე წლით ადრე უწინასწარმეტყველა დედოფალს, ქმარს მოგიკლავენო. იმასაც ამბობენ, დე-ტიებომ ორის წლით ადრე გაიგო, რომ ჩინეთში ომი მოხდება და ამ ომში ყველა დიდი სახელმწიფო მიიღებს მონაწილეობასაო...

სხვა ქალაქებშიაც მრავლად მოიპოვებიან ამ გვარი მკითხავები. მაგრამ ამერიკას, როგორც ყველა სხვა საქმეში, ამ შემთხვევაშიაც, ვერც ერთი კუთხე დედამიწისა ვერ შეედრება. იქ მკითხავებიც არიან, წინასწარმეტყველნიც, სასწაულთ-მომქმედნიც... ასეთ სასწაულთ მომქმედთ მრავალი ავადმყოფი, ჭირიანი, სხვა-და-სხვა სენით შეპყრობილი ეტანება მოსარჩენად და ისინიც არჩენენ, ე. ი. ფულით ჯიბეებს ივსებენ. გაზეთები აჭრელებულია ამ ვაჟბატონების განცხადებებით. მერე რას არ წაიკითხავთ შიგ! ერთი „სასწაულთ-მომქმედი“ იმასაც-კი აცხადებს საჯაროდ, რომ ყოველ წუთსა და წამს შემიძლიან სასწაული მოვახდინოვო. აი მეორე „სასწაულთ-მომქმედის“ განცხადებაც:

„ჟოზეფ მაილი, მეტაფიზიკოსი, არჩენს ყოველ-გვარ ავადმყოფებს, ისეთებსაც-კი, რომელთაც ცალი ფეხი სამარეში უდგათ. პირობანი: 200 მანეთი. შეიძლება ამ ფულის ნაწილ-ნაწილადაც გასტუმრება. ვარჩენ აგრეთვე ავადმყოფებს შორს მანძილზედაც მარტო ფიქრითა და აზრით. ზოგს ერთი შეხედვითაც ვარჩენ“ და სხვა.

ი. ა—ძე

შესახებ საფრანგეთმა გააგის კონფერენციის მე-3 მუხლის ძალით ინგლისთან მოლაპარაკება დაიწყოს. გარდა ამისა, არწმუნებენ იმავე გაზეთს, რომ ინგლისის მთავრობას განზრახვა ჰქონდა ევროპის სახელმწიფოთათვის სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკების ინგლისთან შეერთება ეცნობებინა, მაგრამ ამ გეგმაზედ უარი სთქვა, რადგანაც ევროპის ორმა სახელმწიფომ დროზედ გააფრთხილა, რომ უფლება არა ჰქონდა ჯერედ დაუმორჩილებელი მხარე თავისად გამოეცხადებინა...

— ტრანსვაალის პრეზიდენტს კრიუგერს შემდეგი გამამტყუნებელი საბუთის ქაღალდები თურმე წამოუღია თან:

1) საბუთის ქაღალდები პრინცის უელსის სიძის ფაიფუის გერცოგის წინააღმდეგ, რომელიც ჯემსონის თავდასხმის დროს „Chartered C.°“-ს პრეზიდენტად იყო;

2) საბუთის ქაღალდები, რომლებითაც უელსის პრინცისა და მისის ოჯახობის ზოგიერთა წევრების მონაწილეობა სამხრეთ-აფრიკის ოქროს მადნების ექსპლოატაციაში ნათლად მტკიცდება;

3) სია იმ საპოლიტიკო მოღვაწეთა, რომელთაც კიმბერლეის ალმასის მადნებში მონაწილეობა აქვთ;

4) დედანი იმ დეპეშისა, რომელიც კაპის გუბერნატორის ალფრედ მილნერის მიერ იყო ყალბად შედგენილი;

5) დამამტკიცებელი საბუთები იმისა, რომ ჯემსონის თავდასხმაში ჩემბერლენი, დევონშირის ჰერცოგი და ლორდი გრეი პირდაპირ მონაწილეობას იღებდნენ;

6) ანგარიშები იმ მოგებისა, რომელიც ჩემბერლენსა და მისს ოჯახობას ჰხვედრია წილად ტრანსვაალის სხვა-და-სხვა სამრეწველო საქმეებში და

7) სადიპლომატო საბუთის ქაღალდები, რომლებიც ნათლად ამტკიცებენ, რომ ომის თავიდგან ასაცილებლად სამხრეთ-აფრიკის ორთავე რესპუბლიკამ ყოველივე ღონისძიება მიიღო.

— კარგად მოგეხსენებათ, რა დიდი ჯარი გადარეკა ინგლისმა სამხრეთ-აფრიკაში. ბოლო დროს მათმა რაოდენობამ 300 ათასამდე მიაღწია და, სხვათა შორის, ინგლისის სამხედრო სამინისტროს სწორედ ამ გარემოებით მოჰქონდა თავი, რომ მოახერხა და ესოდენ შორეულს მანძილზედ ამოდენა ჯარი გადარეკა. ამათგან, როგორც მკითხველებს ვაუწყეთ ამ წინაზედ, 64 ათასზედ მეტი მთლად გამოირიცხა ან იმისა გამო, რომ დაიხოცნენ და დაიჭრნენ, ან და იმიტომ, რომ სამხრეთ-აფრიკის სასტიკს ბუნებას ვერ გაუძლეს და სხვა-და-სხვა ავადმყოფობამ ლოგინად ჩააწვინა. დანარჩენები იბრძოდნენ და იბრძვიან აგერ მეორე წელიწადია, იბრძვიან ერთი მუჭა ხალხის წინააღმდეგ, მაგრამ ეს როდია გასაკვირველი, არა! გასაკვირველი ისაა, რომ რიცხვით ერთი ათად და ოცად მეტს ინგლისელებს კიდევ უჭირდებათ დამორჩილება ბურებისა და ინგლისიდგან 20—50 ათასამდე ახალს ჯარს თხოულობენ.—ეჭვი არ არის, ეს გარემოება ბევრს გონებით ფხიზელს ბრიტანელს არაფრად ეპიტნავება და იქნება წყევლა-კრულვითაც იხსენიებდეს სამხრეთ-აფრიკაში ბრძოლის დაწყების დღეს, მაგრამ რას იზამს თავმოუყვარეობის წინააღმდეგ? ხომ საქვეყნოდ შერცხვენ, რომ ერთს მშვენიერს დღეს დეპეშა მიუვიდეთ სამხრეთ-აფრიკიდგან, რომ დამარცხებულმა ბურებმა ახლა ისევ ინგლისელები დაამარცხეს და უმთავრესი მათი ჯარი უკუ აქციესო... განა ეს თავის მოჭრა არ იქნება? ამის გამო, ინგლისელები, რასაკვირველია, კრინტსაც არა სძრავენ და გარდაწყვეტილი აქვთ 20 და 40-კი არა, 100 ათასი კიდევ სხვა გაგზავნონ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერ ასრულებენ ამ გარდაწყვეტილებას, რადგანაც მარტო 20 ათასი ახალი ჯარის გაგზავნა 300 ათასი გირვანქა სტერლინგი დაუჯდებათ.

ბურები-კი თავისს მხრივ სულ ახალ-ახალის საომარ გეგმით უჭირებენ საქმეს ინგლისელებსა. აი, მაგალითად, ამ ბოლოს დროს დევეტი რას სჩადის: ბაზუტოლანდის საზღვრებიდგან დაწყებული ბლუმფონტენამდე, სადაც-კი მცირედი ბუნებრივი სიმაგრე მოიპოვება, ყველა გამაგრებული აქვს და თითო მუჭა ჯარი უყენია. ასრევე უყენია ჯარი ბაზუტოლანდიდგან მდინ. ორანჟემდე. ინგლისელებმა რომ თითოეული რომელიმე ამ სიმაგრეთაგანი აიღონ, ერთი ოცად მეტი ჯარი უნდა შეაჭიდონ და დიდის ზარალით, რასაკვირველია თავიანთთვის, აიღონ იგი, შემდეგ მეორე, მესამე და ასე ბოლომდე, მაგრამ ამავე დროს ბურები პირველსავე სიმაგრეს ისევ დაიჭერენ და ისევ გამაგრდებიან, მეორეშიც, მესამეშიც და ასე ერთმანეთს ძერა-ძერასავით მიჰყვებიან. ეჭვი არ არის, ამ რიგად მოგებულნი ბურები დარჩებიან, რადგანაც თითოეულს სიმაგრეს ძვირფასად დაუსვმენ ინგლისელებსა და შემდეგ-კი ისევ ხელთ იგდებენ და ასე დაუსრულებელს ბრძოლაში იქმნებიან. დაუჯერებელი-კი სწორედ რომ არა არის რა აქ. არ იყო, ბ-ნებო, მთელი ზღვა ჯარი ჩააყენა ლორდმა რობერტსმა ბლუმფონტენსა და მისს მიდამოებში, რომ ერთი კვირის შემდეგ ისევ თავ-ზირი დასცეს ინგლისელებსა? აი, თუნდაც გუშინ-წინდელი დეპეშა ავიღოთ? კაპშტადტიდგან იწერებიან, რომ გრეგამსტაუტთან, რომელიც ინგლისელ ჯარით არის გამაგრებული, შიგ ქალაქის პირში ბურებს ტელეგრაფის მავთული გაუწყვეტიათ, რის გამო ხალხი საშინლად აღელვებული თურმეა. რას ამტკიცებს ეს, თუ არ იმას, რომ მართლაც დევეტის ახალი გეგმა ზღაპრებში მოჭორებულ ამბად არ უნდა ჩაითვალოს.

## სასამართლოს მატიანე

### თავ. ილია ხიდირბეგიშვილის საქმე

ხუთშაბათს, 23 ნოემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტმა განიხილა საქმე გორის მაზრის დაბა სურამის მცხოვრების თავად ილია ხიდირბეგიშვილისა, რომელსაც ბრალად ის ედებოდა, რომ მან 1898 წლის 19 დეკემბერს შეურაცხება მიაყენა სურამის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსს დავით ლალაძეს შემდეგის სიტყვებით: „მე არ შემიძლიან მაგისი სახე დავინახო, მეზიზღება, წაიყვანეთ აქედგანაო“, და ვითომ თავ. ხიდირბეგიშვილს ლალაძეზედ ეთქვას, რომ მან 200 მან. ქრთამი აიღოვო. პირველად ეს საქმე განიხილა ტფილისის ოლქის სასამართლომ 1899 წლის 19 აპრილს, დამნაშავედ იცნო თავ. ხიდირბეგიშვილი და გადაუწყვიტა ორის კვირის ვადით ციხეში დაპატიმრება. სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილება.

—

### სერგო რიყამაძისა და ეზეკია ბუცხრიკიძის საქმე

ამავე დღეს სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე ქუთაისის მაზრის სოფელ საწირის მცხოვრების სერგო რიყამაძისა და შორაპნის მაზრის სოფელ ცუხარელის მცხოვრებ ეზეკია ბესარიონის ძის ბუცხრიკიძისა, რომელთაც შემდეგი დანაშაულობის ჩადენა ედებოდათ ბრალად: ამა 1900 წლის, 18 მარტს, ღამით რიყამაძესა და ბუცხრიკიძეს წინასწარ მოფიქრებით ქუთაისის მაზრის სოფ. ახალსოფლის მცხოვრების მოსე ქათამაძისათვის ჩაუმტვრევიათ სახლის კარებიდ შეიარაღებულნი შესცვივნიან, წაუვლიათ ყელში ხელი მოსეს მოხუცებულ დედის სოფიოსათვის, სიკვდილს დაჰმუქრებიან და ფული მოუთხოვნიათ; დედის ყვირილზედ გამოჰქცეულან სოფიოს ქალებს რუსუდანსა და ანნას, რომელნიც შიშით აკანკალებულნი შემოხვევიან გარს ბოროტ-მომქმედთ და დაუწყიათ ხვეწნა: დედას ნუ მოგვიკლავთო. მალე გამოღვიძებია სოფიოს ვაჟსაც, მოსე ქათამაძეს, რომელსაც მისცვივნიან ქურდები ხანჯლებით: ფულები მოგვეცით, თორემ ეხლავე მოგკლავთო; მოსეს იმდენი ძალა უხმარია, რომ გამოსცლია ხელიდგან ბოროტ-მომქმედთ, გავარდნილა ეზოში და დაუწყია ძახილი მეზობლებისათვის. ქურდებს შეუტყვიათ, რომ მეზობლები მოეშველნენო ქათამაძეს, დ გაქცეულან. ქუთაისის ოლქის სასამართლოს წინაშე ბრალდებულთ თავი დამნაშავედ არ უცვნიათ. რიყამაძეს განუცხადებია, რომ მე ქათამაძის ქალი ანიკო მიყვარდა და რადგანაც მისი შერთვის ნება არ მომცეს, მისი მოტაცება განვიზრახეო, ხოლო ბუცხრიკიძეს—მე რიყამაძესთან ერთად საამხანაგოდ ვპრობდი და ერთხელ, როდესაც რიყამაძის სახლში ვიყავი, მან, არ ვიცი რა განზრახვით, ქათამაძის სახლში წამიყვანა ღამეო. ოლქის სასამართლოს დამნაშავედ უცვნია სერგო რიყამაძე, 21 წლისა, და ეზეკია ბუცხრიკიძე, 27 წლისა, და გარდაუწყვეტია ყოველისავე პირადად და წოდებრივად მოპოვებულ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და ციმბირის შორეულ ადგილებში გარდასახლება. სამოსამართლო პალატამ, 23 ნოემბერს განიხილა რა ეს საქმე, დაამტკიცა ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილება.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

23 ნოემბერი

**პეტერბურგი.** 23 ნოემბერს, დილის 9 საათზედ, ვარშავის გენერალ-გუბერნატორის, განსვენებულის თავადის იმერეთინსკის გვამი გადაასვენეს ვარშავის რკინის გზის სადგურიდგან ალექსანდრე ნეველის ლავრაში, სადაც დაჰკრძალეს სულის წმიდის მოფენის ეკკლესიაში. დასაფლავებას დაესწრნენ დიდნი მთავარნი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე და სერგი მიხეილის ძე და პრინცი ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურგელი.

**ვაშინგტონი.** გარეშე საქმეთა სამინისტრომ მიიღო ცნობა, რომ პეკინში გუშინ ელჩები შეთანხმდნენ მორიგების პროექტის შესახებ, რომელიც დაუყოვნებლივ გაეგზავნათ მთავრობათაო. გეიმ მიანდო დღეს დეპეშით ელჩს კონჯერს მოაწეროს ხელი მორიგებაზედ ამერიკის სახელით. ძნელია მორიგების დაწვრილებით ცნობათა შეტყობა, ცნობილია მხოლოდ, რომ ამერიკამ თავისი გაიყვანა დამნაშავეთა დასჯისა და სასყიდელის გარდახდევინების შესახებაო. სასჯელი სასტიკი უნდა იყოს, რამდენადაც-კი ჩინეთის მთავრობას შეუძლიან ნების დართვა. ამ მთავრობამ ფორმალურად უნდა აღიაროს თავისი ვალდებულება სასყიდელის გარდახდისა საშემდეგისო მოლაპარაკების დროს. რაც შეეხება მორიგების დანარჩენ მუხლთ, მათ გამორკვევას საფუძვლად დაედო საფრანგეთის წინადადება.

**კელნი.** კრიუგერი გააგაში მსწრაფლ-მატარებლით წავიდა 9 საათსა და 45 წუთ. პოლიციამ ყოველივე ღონისძიება იღონა, რომ დიდ ძალს ხალხს არ მოეყარა თავი. გზა, რომელზედაც მატარებელი იდგა, შეღობილი იყო ორივ მხარეს. კრიუგერი რომ გამობრძანდა, დიდის ალტაცებით მიეგებნენ.

**გააგა.** მეორე პალატა. სხდომის დაწყებისას პრეზიდენტმა შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა: „მოწყალენო ხელმწიფენო, ბატონი პრეზიდენტი კრიუგერი დღეს მოვა ჩვენ სატახტო ქალაქში, ამიტომ წინადადებას ვაძლევ პალატას მომანდოს მივეგებო პრეზიდენტს პალატის სახელით ჩვენს ქვეყანაში და გამოუცხადო ჩვენი გულითადი თანაგრძნობა“. პალატამ დიდად მოიწონა პრეზიდენტის წინადადება და მიიღო იგი.

**პეკინი.** ყოველ სიმართლეს მოკლებულია ის ხმა, ვითომ კალგანიდგან დღეს დაბრუნებული ექსპედიცია დამარცხებულ იქმნა. ექსპედიციამ დანამდვილებით შეიტყო, რომ ამა წლის ივლისში კიეფიურჯენში ინგლისელი პორუჩიკი უატს ჯონსი წამების შემდეგ მოკლულ იქმნა ამ მაზრის ჩინელ უმაღლეს მოხელის ბრძანებით.

**ლონდონი.** პარლამენტის მოქმედების დაწყების დროს წაკითხულ სეფე სიტყვაში ნათქვამია შემდეგი: „საჭირო შეიქმნა ახალის თანხის შეძენა იმ ხარჯის დასაფარავად, რომელიც გამოიწვია ჩემის ჯარის მოქმედებამ სამხრეთ აფრიკასა და ჩინეთში; მე მოგიწვიეთ განსაკუთრებულ კრებაზედ იმიტომ, რომ თანხმობა განაცხადოთ საჭირო კანონიერ საშუალებათა მისაღებად; სხვა საქმეთა შესახებ მაშინ გაცნობებთ, როდესაც პარლამენტი გაზაფხულზედ ჩვეულებრივ სესსიისათვის შეიკრიბება“.

24 ნოემბერი

**ლივადია.** 24 ნოემბერი, დილის 11 საათი. ხელმწიფე იმპერატორმა წარსული დღე ღამე სრულიად კარგად გაატარა; სიცხე და მაჯის ცემა წესიერი ჰქონდა; თავს ძალიან კარგად ჰგრძნობდა. ლეიბ-ხირურგი გირში; საპატიო ლეიბ-მედიკი პაპოვი; მკურნალი ტიხონოვი.

### წერილი ხარკოვში კურს-დამთავრებულ ქართველ სტუდენტთა საყურადღებოდ.

რადგანაც ქ. ხარკოვის ქართველ სტუდენტთა ისედაც ღარიბი წიგნთ-საცავი თითქმის განახევრებულია ქართველ სტუდენტთა წრის ზოგიერთა წევრთა მიერ წიგნთ-საცავის კუთვნილ წიგნების უკან დაუბრუნებლობისა გამო, ამისათვის უმორჩილესადა ვსთხოვ ქ. ხარკოვის ქართველ სტუდენტთა მონდობილობით, რომ ყველამ, ვისაც-კი სტუდენტად ყოფნის დროს უსარგებლნია ამ წიგნთ-საცავიდგან წიგნებითა და შემდგომ უნივერსიტეტის კურსის დასრულებისა რაიმე მიზეზით უკან აღარ დაუბრუნებია ეს წიგნები, დაუყოვნებლივ წარმოგვიგზავნონ. წინააღმდეგ შემთხვევაში ამხანაგობა იძულებული იქნება საჯაროდ გამოაცხადოს ამავე გაზეთის საშუალებით წიგნების წამღებთა გვარები.

ადრესი: Г. Харьковъ. Мѣщанская улица, домъ шкаффа, № 5, квартира 15, Студенту-медику Северьяну Константиновичу Чогошвили.

სტუდენტი სევერიანე ჭოღოშვილი

ქ. ხარკოვი, 14 ნოემბერი.


# განცხადებანი

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. 3 მან. და 1 მ. 50 კაპ.



## ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გმოვიდა კიდევ ახალი საშუალება

## „კვერცხის რძე“

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარს კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:** დიდი ქილა —2 მან; პატარა —1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთექო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ №15, სადგ. 10. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთექო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში. იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთექო მაღაზიაში.

ქალაქ გარედ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—211—12)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი | 1 | „ |
| სხივი წარსულისა, ი. გოგებაშვილისა | „ | 5 |
| საარაკო თავ-გადასავალი ტახტის მემკვიდრისა, მისივე | „ | 10 |
| ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა | „ | 30 |
| ამბავნი და მოთხრობანი, თარგ. გრ. ყიფშიძისა | „ | 15 |
| საქართველოს ძველის დროის თავ-გადასავალი | „ | 40 |
| ეკატერინე ბატონიშვილი, ხუსკივაძისა | „ | 5 |
| შ. არაგვისპირელის თხზულებანი | „ | 50 |
| სიტყვიერების თეორია | 1 | „ |
| ანტონ ჭყონდიდელის ქადაგებანი | 1 | 50 |
| ვინ მოიგონა არაყი, ტოლსტოისა | „ | 5 |
| Заслуги грузинскаго монашества Е. К. | „ | 30 |


Дозволено цензурою. Тифлисъ, 24-го Ноября 1900 г.
სტამბა მ. შარაძის და ამხ.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე